

„მწიგნობრობა ქართული“*

„და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესაეთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

XI საუკუნის ისტორიკოსის **ლეონტი მროველის** ეს ცნობა დიდ კამათს იწვევს თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში. მას მაინცდამაინც დიდი რწმენით არ ეკიდებოდა ახალი ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი და ქართული დამწერლობათმცოდნეობის ფაქტობრივი შემქმნელი **ფანე ჯავახიშვილი** და **ფარნავაზის** მიერ ქართული მწიგნობრობის შექმნას ლეგენდად მიიჩნევდა.

ჩვეულებრივ ითვლება, რომ „ქართულ მწიგნობრობაში“ ძველქართული „ასომთავრული“ ანბანის შემოღება იგულისხმება ძვ. წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში. მაგრამ არსაიდან ჩანს, რომ ლეონტი მროველი ფარნავაზის მიერ შექმნილ „ქართულ მწიგნობრობაში“ უცილობლად ძველქართულ „ასომთავრულ“ დამწერლობას გულისხმობდა, იმ ქართულ დამწერლობას, რომლითაც შესრულებული უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლები მე-5 საუკუნით, ე.ი. ადრექრისტიანული ხანით თარიღდება. ინტენსიური არქეოლოგიური ძიების შედეგად აღმოჩნდა მრავალი ეპიგრაფიკული ძეგლი ქრისტიანობამდელი ხანისა, მაგრამ მათ შორის – არც ერთი ქართული „ასომთავრულით“ შესრულებული. ეს წარწერები ძირითადად ბერძნულსა და არამეულ ენებზეა ნაწერი.

* **საქართველო**, 1987 წ. 20 ნომბერი, ამ თემაზე იხ. აგრეთვე ჩვენი შემდეგდროინდელი პუბლიკაციები: „ქრისტიანობა და ქართული კულტურა“, – გაზ. „საქართველოს კარლამუნტი“, №10, 15 სექტემბერი, 1995 წ.; კრებ. „ვილოლოგიური კიბანნი“, თბილისი, 1995, გვ. 57–64; „ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა“. –

საქართველო, 1998 წ. 13-20 მარტი; „მწიგნობრობა ქართული“. – კრებ.: „Dedicatio. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, ეძღვნება აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს, თბილისი, 2001, გვ. 420–429, 475–477 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე); „ძველი ქართული დამწერლობის ქრისტიანული საწყისები“. – ჟურნ. „გელათის მაცნიარებათა აკადემიის შურნალი“, ქუთაისი, 2002, №4, გვ. 3–9; „ქრისტიანობა და ძველი ქართული დამწერლობა“. – კრებ. „კონსტანტინე წერეთელი – 80“. საიუბილეო კრებული, თბილისი, 2003, გვ. 78–83 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე); „ქრისტიანობა და ძველი ქართული კულტურა და დამწერლობა“. – ჟურნ. „ლოგოსი“, თბილისი, 2004, №2, გვ. 13–16 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე). ძველი ქართული დამწერლობის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. **თ. გამყრელიძე**, „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა“, აკაკი შანიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, „თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა“, თბილისი, 1989/90; შდრ. ამ მონოგრაფიის ინგლისური თარგმანის გამოცემა: *Alphabetic Writing and the Old Georgian Script. A Typology and Provenience of Alphabetic Writing Systems*, Delmar – New York, 1994: «Caravan Books».

Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	a	1
Ⴃ	Ⴄ	Ⴅ	b	2
Ⴆ	Ⴇ	Ⴈ	g	3
Ⴉ	Ⴊ	Ⴋ	d	4
Ⴌ	Ⴍ	Ⴎ	e	5
Ⴏ	Ⴐ	Ⴑ	v	6
Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	z	7
Ⴕ	Ⴖ	Ⴗ	ē	8
Ⴘ	Ⴙ	Ⴚ	t	9
Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	i	10
Ⴞ	Ⴟ	Ⴀ	k	20
Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	l	30
Ⴄ	Ⴅ	Ⴆ	m	40
Ⴇ	Ⴈ	Ⴉ	n	50
Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	j	60
Ⴍ	Ⴎ	Ⴏ	o	70
Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	p	80
Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	ž	90
Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	r	100
Ⴙ	Ⴚ	Ⴛ	s	200
Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	š	300
Ⴟ	Ⴀ	Ⴁ	y	
ႢႣ	ႤႥ	ႦႧ	u	400
ႨႩ	ႪႫ	ႬႭ	p	500
ႮႯ	ႰႱ	ႲႳ	k	600
ႴႵ	ႶႷ	ႸႹ	č	700
ႺႻ	ႼႽ	ႾႿ	q	800
ႽႾ	ႿႠ	ႢႣ	š	900
ႣႤ	ႥႦ	ႧႨ	č	1000
ႩႪ	ႫႬ	ႭႮ	c	2000
ႰႱ	ႲႳ	ႴႵ	z	3000
ႶႷ	ႸႹ	ႺႻ	č	4000
ႼႽ	ႾႿ	ႢႣ	š	5000
ႽႾ	ႿႠ	ႢႣ	x	6000
ႿႠ	ႢႣ	ႥႦ	q	7000
ႢႣ	ႥႦ	ႧႨ	ž	8000
ႧႨ	ႩႪ	ႫႬ	h	9000
ႭႮ	ႯႰ	ႲႳ	ω	10000

უკვე ამ მეტად მეტყველი ფაქტიდან შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა და იმ ვარაუდის წამოყენება, რომ ძველქართული „ასომთავრული“ ქრისტიანული ხანის ეროვნული დამწერლობაა, შექმნილი ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებისთან ერთად, ისევე როგორც ეს მოხდა სხვადასხვა დროს სათანადო ქვეყნებში კობტური, გოთური, ძველი სომხური და ძველი სლავური დამწერლობების შემთხვევაში, რომლებიც თავსდებიან ბერძნულზე დამყარებულ ადრექრისტიანულ დამწერლობათა საერთო ტიპოლოგიურ ჯგუფში.

ძველი ქართული „ასომთავრული“ დამწერლობის სპეციალური სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შესწავლა ავლენს მის უტყუარ კავშირს ძველ ბერძნულ დამწერლობასთან, რომელსაც იგი ემყარება და რომელიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული პროტოტიპად, ისევე როგორც დამწერლობათა ზემოხსენებული ტიპოლოგიური ჯგუფის შემთხვევაში.

ძველი ქართული „ასომთავრული“ ანბანის ქრისტიანულ დამწერლობად მიჩნევა განსაზღვრავს მისი შექმნის ხანას მე-4 საუკუნის დასასრულით ან, შესაძლებელია, უფრო ადრე პერიოდით.

ძველი ქართული „ასომთავრული“ დამწერლობის სრული „ჩამონაკეთულობა“ და სავსებით ჩამოყალიბებული გრაფიკული ხასიათი, რაც უკვე უძველეს ისტორიულად დადასტურებულ ქართულ წარწერებში შეინიშნება, მოწმობს სწორედ ამ დამწერლობის შექმნას ერთდროული შემოქმედებითი აქტის შედეგად.

დამწერლობის შექმნა გულისხმობს ძლიერი წერილობითი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელსაც გარკვეული აზრით დასრულებული ხასიათი აქვს. რაც უფრო სრულყოფილია ახლად შექმნილი დამწერლობა, რაც უფრო ადეკვატურად ასახავს იგი ენის ბგერით მხარეს, მით უფრო ნაკლები დამატებები და შესწორებები შეაქვთ შემდგომ მასში, მით უფრო სტაბილურია იგი თავისი ხასიათით.

სწორედ ამგვარი სრულყოფილება ახასიათებს ასომთავრულ დამწერლობას და მისი სავსებით ჩამოყალიბებული ხასიათი უკვე მე-5 საუკუნის წარწერებში არ გულისხმობს აუცილებლად ამ კონკრეტული წერილი სისტემის ხანგრძლივ წინარე ისტორიას. ძველი ქართული „ასომთავრული“ დამწერლობის შექმნა ქრისტიანულ ხანაში, როდესაც უნდა დაწყებულიყო ეროვნული ანბანით „სადმართო წერილის“ ქართულ ენაზე გადმოცემა, ადვილად გასაგებს ხდის იმ წერილობითი და ლიტერატურული ტრადიციების არსებობასაც, რაც ჩვენ ქართული ენისათვის უკვე მე-5 საუკუნის ბოლოს უნდა ვივარაუდოთ.

ქრისტიანობა იმთავითვე იყო მწიგნობრული რელიგია და ხალხი, რომელიც ამ სარწმუნოებას ეზიარებოდა, საკუთარ მწიგნობრობას ქმნიდა და იფიქრებდა. ამასთანავე, განსხვავებით დასავლური ქრისტიანობისაგან, აღმოსავლური ქრისტიანობა ხელს უწყობდა მწიგნობრობისა და მწერლობის განვითარებას საკუთარ ეროვნულ ენაზე, ეროვნული ენისათვის ახალი დამწერლობის შექმნას და ნათარგმნი თუ ორიგინალური ძეგლების შეთხზვას. ასე მოხდა ეს ქრისტიანული კობტური, გოთური, ძველი

სომხური და ძველი სლავური დამწერლობების შექმნის შემთხვევაში.

ძველი ქართული „ასომთავრული“ ანბანის ქრისტიანული ეპოქის დამწერლობად მიჩნევა, რომელიც შეიქმნა ბერძნული წერითი სისტემის საფუძველზე გარკვეული პირის ორიგინალური შემოქმედების შედეგად, ბუნებრივად სვამს კითხვას ქართული ანბანის შემქმნელის ვინაობის შესახებ: ვინ იყო ის პიროვნება, რომელმაც თანადროული ბერძნული ანბანური დამწერლობის საფუძველზე სრულიად ორიგინალური, მონუმენტური სტილის მრგლოვანი დამწერლობა შექმნა?

ისტორიამ შემოგვინახა ქრისტიანული გოთური, სომხური და სლავური ანბანების შემქმნელთა სახელები. ესენია ვულფილა, მესროპ-მამთოცი და კონსტანტინე-კირილე. მაგრამ ჩვენ დღემდე არ ვიცით დანამდვილებით სახელი ძველი ქართული „ასომთავრული“ დამწერლობის შემქმნელისა.

სომხური ისტორიული წყაროები ძველი ქართული ანბანის შექმნას (სომხურთან და კავკასიის ალბანურ დამწერლობასთან ერთად) იმავე **მესროპ-მამთოცს** მიაწერენ, მაგრამ ამავე ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ **მესროპ-მამთოცმა** თვით არ იცოდა ქართული, რაც სრულიად გამორიცხავს მის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესაძლებლობას.

ახალი დამწერლობის შექმნა ახალი გრაფიკული სიმბოლოების გამოგონება-შეთხზვას კი არ ნიშნავს მხოლოდ; იგი გულისხმობს უწინარეს ყოვლისა ენის ღრმა ლინგვისტური ანალიზის ჩატარებას, გაბმული მეტყველებისა და სიტყვების დანაწევრებას ცალკეულ ბგერით ერთეულებად, რომლებიც უნდა გამოიხატოს სათანადო გრაფიკული ნიშნებით. ეს არის სწორედ ახალი დამწერლობის შექმნის პროცესში ლოგიკურად პირველი და ძირითადი ეტაპი, რასაც არსებითად ემყარება მთელი შემდგომი პროცედურა ბგერათა გრაფიკული გამოხატვისა და მათი ანბანთრიგში გაწვობისა. ყოველივე ეს შეუძლებელს ხდის კონკრეტული ენისათვის დამწერლობის შექმნას ისეთი პირის მიერ, რომელიც ამ ენას ღრმად არ არის დაუფლებული, რომელსაც წინასწარ ამ ენის თავისებური ლინგვისტური ანალიზი არ ჩაუტარებია.

მესროპ-მამთოცს ვერც „ინსტრუქტორად“ ან „კონსულტანტად“ ვივარაუდებთ ძველი ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის საქმეში, რამდენადაც ძველი ქართული დამწერლობა ძველი სომხურისაგან განსხვავებულ სტრუქტურულ პრინციპებს ემყარება. ძველი ქართული დამწერლობის როგორც ნიშანთრიგი, ისე ნიშანთა გრაფიკული მახასიათებლები პროტოტიპული ბერძნული სისტემისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით სომხურისაგან არსებითად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს, რაც თავისთავად გამორიცხავს ძველი სომხური დამწერლობის შემქმნელის მონაწილეობას ქართული ანბანის შედგენაში თუნდაც „კონსულტანტიზ“ როლში, რომელიც უზიარებს ვინმე სხვას ახალი დამწერლობის შექმნის თავის გამოცდილებასა და ზოგად პრინციპებს.

პროტოტიპულ ბერძნულ სისტემასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით ძველი ქართული ასომთავრული დამწერლობა

ტიპოლოგიურად უფრო ახლოსაა ქრისტიანული დამწერლობის უძველეს ნიმუშებთან – *კობტურთან* და *გოთურთან*; ნიშანთრიგის თვალსაზრისით ქართულ დამწერლობაში იგივე პრინციპებია განხორციელებული, რაც *კობტურსა* და *გოთურში*, საპირისპიროდ *ძველი სომხური დამწერლობისა*, რომელიც განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული.

კობტურისა და *გოთურის* მსგავსად, *ძველი ქართულის* ანალოგიური პრინციპები გატარებულია *ძველ სლავურ* დამწერლობაშიც, რომელიც *ძველი ქართული სისტემის* გავლენის უტყუარ ნიშნებს ავლენს ანბანთრიგის თვალსაზრისით.

მაგრამ თუ *ძველქართული „ასომთავრული“* ადრექრისტიანული ხანის ქართული დამწერლობაა, შექმნილი არა უადრეს ახ. წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნისა, რას უნდა მიუთითებდეს **ლენტი მროველის** ცნობა **ფარნავაზის** მიერ „*ქართული მწიგნობრობის*“ შექმნის შესახებ ძვ. წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში?

ფარნავაზის დროინდელი ან უფრო გვიანდელი წარმართული საქართველოსათვის „*მწიგნობრობა ქართული*“ უნდა ნიშნავდეს ალბათ ამ დროს ქართული „*წერის*“ შემოღებას სპეციფიკური სახით, ე.ი. ქართული ტექსტის „*ჩაწერას*“ რომელიმე იმ დროს გავრცელებული ენისა და დამწერლობის, მაგალითად, არამეულის, საშუალებით და ამგვარად ჩაწერილი ტექსტის წაკითხვას კვლავ საწყის, ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე.

„*წერის*“ ეს მეთოდი, რომელსაც ცნობილი ბრიტანელი ირანისტი ილია გერშევიჩი „*ალოგლოტოგრაფიას*“ – ანუ „*სხვა-ენაზე-წერას*“ უწოდებს, ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ირანულ სამყაროში.

წერის, „*მწიგნობრობის*“ ამგვარი წესის დროს ტექსტი ან შეტყობინება, რომელსაც გარკვეულ ენაზე კარნახობენ, მაგალითად, ძველ სპარსულზე, ითარგმნება სინქრონულად სპეციალისტ-ჩამწერის მიერ და ჩაიწერება დამწერლობის მქონე სხვა რომელიმე ენაზე, ამ შემთხვევაში ელამურად, და წაკითხება ან ამოიკითხება ადრესატის მიერ სპეციალისტ-თარჯიმანის დახმარებით არა ელამურად, არამედ თავდაპირველ ენაზე, რომელზედაც ნაკარნახები იყო ეს ტექსტი ან შეტყობინება, ე.ი. ძველ სპარსულად. ელამური ენა და დამწერლობა გამოდიან ამ შემთხვევაში „*შუამდგალი ენის*“ როლში, რომლის საშუალებითაც ხდება ზეპირად ძველსპარსულად შედგენილი თავდაპირველი ტექსტის ან შეტყობინების კოდირება. საკუთრივ ძველსპარსული სოლისებრი დამწერლობა მხოლოდ უფრო მოგვიანებით იქნა შემოღებული ძველსპარსული ტექსტის უშუალოდ წერილობითი ფიქსაციისათვის.

საშუალო სპარსული ეპოქისათვის ამგვარ „*შუამდგალ ენად*“ უკვე არა ელამური, არამედ იმ ხანად ფართოდ გავრცელებული არამეული ენა გვევლინება „*კონსონანტურ-სილაბური*“ დამწერლობით. „*ელამოგრაფია*“, რაც ძველსპარსული მწიგნობრობისათვის იყო დამახასიათებელი, საშუალო სპარსულ ეპოქაში „*არამეოგრაფიით*“ იცვლება, რასაც შემდგომში საშუალო სპარსული წერისათვის დამახასიათებელ არამეულ იდეოგრაფიამდე მივყავართ.

ილია გერშევიჩის მოხდენილი შედარების მიხედვით, ზეპირი ტექსტის „*ჩაწერის*“ ასეთი მეთოდი იგივეა, რაც მეტყველების „*ჩაწერა*“ თანამედროვე მაგნიტოფონის ფირზე. ზეპირად ნაკარნახები სპარსული ტექსტის არამეულად ან ელამურად სპეციალისტი-ჩამწერი და ამავე ტექსტის სპარსულადვე ამოკითხველი ემსგავსება თანამედროვე „*ჩამწერ*“ აპარატურას იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში ასეთი აპარატურის „*მექანიზმი*“ **ელამური** (ან **არამეული**) ენაა, მეორე შემთხვევაში კი – ელექტრონული მოწყობილობა. ალოგლოტოგრაფიული წერა, როგორც ჩანს, ფართოდ იყო გავრცელებული მახლობელ აღმოსავლეთში, რითაც უნდა აიხსნებოდეს სხვადასხვა ეპოქაში ცალკეული ენების (**ელამურის, არამეულის...**) განსაკუთრებული ხმარება მთელ ამ რეგიონში.

ამასთანავე, ადგილობრივ ენებზე დამწერლობის არქონა და „*წერის*“ ალოგლოტოგრაფიული წესი, ე.ი. წერა-კითხვის ფაქტიური ცოდნა მხოლოდ სპეციალისტ-თარჯიმანთა ვიწრო წრის მიერ, არ ნიშნავდა სხვათა „*განათლებლობას*“ ან ქვეყანაში ლიტერატურული ტრადიციების უქონლობას. ასეთი დაშვება იქნებოდა ჩვენი დღევანდელი წარმოდგენების გადატანა ძველ ეპოქებზე, როდესაც „*ალოგლოტოგრაფია*“ და წერა-კითხვა საზოგადოდ ვიწრო, შესაძლებელია, არცთუ ისე პრესტიჟულ სპეციალობას წარმოადგენდა (როგორც, მაგალითად, საწერ მანქანაზე ბეჭდვა ან სტენოგრაფია ჩვენს ეპოქაში) და არ განსაზღვრავდა ადამიანის განათლების დონეს. საზოგადოების „*განათლებულობა*“ განისაზღვრებოდა საზოგადოდ იმ ცოდნის მარაგით, რომელიც ზეპირად, ზეპირსიტყვიერების გზით თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ქრისტიანობამდე ამიერკავკასიაშიც წერის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი, როგორც ჩანს, „*ალოგლოტოგრაფია*“ უნდა ყოფილიყო, რითაც აიხსნება აქ არამეულ წარწერათა განსაკუთრებული გავრცელება. წარმართულ იბერიასა და სომხეთში ტექსტები საკუთარ ადგილობრივ ენებზე, ალბათ, სწორედ ალოგლოტოგრაფიის წესით არამეულად იწერებოდა, რაც გასაგებს ხდის ცნობას ქართლში მეფე **ფარნავაზის** დროს „*ქართული მწიგნობრობის*“ შემოდების შესახებ. „*ქართული მწიგნობრობა*“ შეიძლება, მაშასადამე, გავიგოთ როგორც „*ქართული ალოგლოტოგრაფია*“ არამეულის საფუძველზე, რომელზედაც წერამ ამ ეპოქის ამიერკავკასიაში სპეციფიკური, **გიორგი წერეთლის** მიერ „*არმაზულ არამეულად*“ წოდებული სახეობა მიიღო. მაშასადამე, ტექსტს კარნახობდნენ ქართულად, იგი სინქრონულად ითარგმნებოდა და ჩაიწერებოდა სპეციალისტ-ჩამწერის მიერ *არამეულად* და ამოიკითხებოდა ქართულადვე. ეს უნდა ყოფილიყო ქართული ტექსტის ჩაწერის წესი არამეული ენის და დამწერლობის შუამავლობით.

ქრისტიანულ ქართულ სახელმწიფოში „*მწიგნობრობის*“ არსებობა თუნდაც რომ მხოლოდ არამეული „*ალოგლოტოგრაფიის*“ სახით ვივარაუდოთ, ესეც მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მშობლიურ ენაზე ლიტერატურული ტრადიციების სწრაფ განვითარებას.

ამასთანავე გასათვალისწინებელია აგრეთვე შესაძლებლობა

წარმართულ ქართულ სამყაროში ლიტერატურული ტრადიციების არსებობისა ზეპირსიტყვიერების სახით. ცნობილია, რომ ლიტერატურა და ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება ამა თუ იმ კულტურაში არ იწყება აუცილებლად ენის წერილობით ფიქსაციასთან ერთად, ამ ენაზე დამწერლობის გაჩენასთან ერთად. ლიტერატურული ტრადიციები და ლიტერატურული ენა შესაძლებელია არსებობდეს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ზეპირსიტყვიერების სახით ამ ენაზე სპეციფიკური დამწერლობის არსებობის გარეშე.

წერის შემოღება მხოლოდ ამგვარი ტრადიციების გრაფიკულ ფიქსაციას ახდენს და ხელს უწყობს ლიტერატურული ენის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას. ასე, მაგალითად, ძველი ინდური ლიტერატურული ძეგლები – *ვედური ჰიმნები* – ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ზეპირად გადაიცემოდა და ვრცელდებოდა; *ჰომეროსის პოემები* შეიქმნა მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ვიდრე მისი წერილობითი ფიქსაცია და ჩაწერა განხორციელდა; ეგვიპტე შეეხება სხვადასხვა ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებს და სხვ.

ზეპირსიტყვიერების ამგვარ ტრადიციებს აძლიერებდა აგრეთვე ახლად გაქრისტიანებულ აღმოსავლურ სამყაროში (მათ შორის ალბათ საქართველოშიც) საღმრთო წიგნების გადმოღების ისეთი წესი, რასაც „*ალოგლოტოქია*“ ანუ „*სხვა-ენაზე-თქმა*“ შეიძლება ეწოდოს, როდესაც მოსახლეობაში მშობლიურ ენაზე ქადაგება ხდებოდა რელიგიური ტექსტების (*ძველი* და, განსაკუთრებით, *ახალი აღთქმის*) უშუალოდ ზეპირად გადმოღება-თარგმანების საშუალებით. ასეთ ვითარებაში იხვეწებოდა და მდიდრდებოდა ლექსიკურად და ტერმინოლოგიურად თვით ის ენაც, რომელზედაც ქადაგებდნენ და ზეპირად გადმოსცემდნენ კანონიკურ რელიგიურ ტექსტებს. ამასაც უნდა შეექმნა წინაპირობა იმისა, რომ ქართული ენა განვითარებულ და დახვეწილ ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბებულიყო საკუთრივ ქართული ქრისტიანული დამწერლობის შექმნისა და ენის წერილობითი ფიქსაციის დროისათვის.

ქრისტიანობას მნიშვნელოვნად უნდა შეეწყო ხელი შემდგომში ლიტერატურული ტრადიციების სწრაფი განვითარებისათვის; სწორედ ამ სარწმუნოების საფუძველზე იქმნება ახალი ქართული კულტურა და მწიგნობრობა, ყალიბდება ქართველთა ეროვნული ერთიანობის შეგნება, რასაც არაერთგზის გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე სრული ეროვნული გადაგვარებისაგან.

ქრისტიანული რწმენა იმხანად, როგორც მშობლიური ენა და კულტურა დღეს, იყო მძლავრი ფაქტორი ეროვნული თვითშეგნებისა და თვითდამკვიდრების.

სარწმუნოება იმ ეპოქაში, და განსაკუთრებით ქრისტიანული სარწმუნოება თავისი მოწამებრივი იდეოლოგიით, ხდება ძირითადი კომპონენტი ადრექრისტიანულ ხანაში ეროვნული და ეთნიკური იდენტიფიკაციისა.

თანამედროვე კულტურულ სამყაროში ქართველობა განიხილება სწორედ როგორც ქრისტიანული ცივილიზაციის

წარმომადგენელი ერი, რომლის კულტურა ახლებურად გარდაიქმნა და აღორძინდა ქრისტიანობის საფუძველზე, რომლის ეროვნული დამწერლობა და, მაშასადამე, „ახალი მწიგნობრობა“ ქრისტიანობის – იმ დროისათვის ახალი რწმენისა და იდეოლოგიის საფუძველზე შეიქმნა.

სწორედ ქრისტიანობის საშუალებით ეზიარა ისტორიულად ქართველობა იმდროინდელ ჯერ აღმოსავლურ და შემდგომ დასავლურ საკაცობრიო ცივილიზაციას და თავად შეიტანა თავისი წვლილი ამ ცივილიზაციაში.
